

სიკვდილი

4

თებერვალი

1990

ქართული
სიკვდილი

ნახ. შ. აბაშიძისა

ხუთი წლის საყოფი
 სურსათ-სანოკვა ვიყიდე
 ხალოვა, ჰოდა, ახლს ვკვები
 ვაინს და ვაინს!..



ნახაზები,

ლეონიდა!



ამ ბოლო დროს დაბეჯითებით გვიმტკიცებენ და გვისაბუთებენ რომ საქართველო, რომლითაც ასე ვამაყობთ და თავი მოგვაქვს ქართველებს, თურმე ჩვენი სამშობლო არ არის!..

როგორც ირკვევა, ქვემო ქართლი, გარე კახეთი და შერეთი აზერბაიჯანის ისტორიული კუთვნილება ყოფილა და ჩვენს რომელიღაც მეფეს ძალით წაუგლეჯია!.. ქსნისა და არაგვის ხეობა, გუდამაყარი და მთელი შიდა ქართლი, მტკვრის მარცხენა სანაპირომდე, ალან-ოსთა სამფლობელოს შემადგენლობაში შედიოდა, როგორც საერისთავო, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, როგორც ავტონომიური ოლქი!.. ალგეთის ხეობას, თრიალეთს და ქართლის ნაწილს, მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე, ჩვენი მოძმე სომხეთი თავის ტერიტორიად აცხადებს და ამას სომეხი ემიგრანტების მიერ საზღვარგარეთ დასტამბული რუკით გვისაბუთებენ, ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი ჩეჩენ-ინგუშეთის საძოვრები ყოფილა და მერე თანდათან ჩასახლებულან იქ ქართველები!.. კახეთი, გინდა თუ არა, ჩვენი იყო, ირანი იქაჩება!.. საბუთად იმთავით რუკა აქვთ, ისპაჰანში დასტამბული!.. მესხეთს, ჯავახეთს, სამცხეს და აჭარას თურქეთი იჩემებს, მონშეებად მესხეთელი თურქები და თარქამები ჰყავთ!.. მთელი დასავლეთი საქართველო, ქუთაისის დედაქალაქებით, აფხაზეთად გამოაცხადეს აფხაზმა ექსტრემისტებმა ლიხნის თავყრილობაზე!.. რით ასაბუთებენო, იკითხავთ, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ აფხაზების სიტყვას დასაბუთება არ სჭირდება, „სლოვო ნასტაიაშჩევო აბხაზცა, ეტა უშე დოკუმენტი!“

ყოველივე აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ ქართველებს დედამიწაზე საკუთარი სამშობლო არ გაგვაჩნია და სხვა პლანეტიდან ვყოფილვართ მოსული მფრინავი თევზებით!.. ისე, კაცმა რომ თქვას, ეს აზრი სიმართლესთან ახლოს არის. მართლაც, დედამიწაზე მცხოვრებ არც ერთ ერს არ ვგავართ, ყველასაგან საოცრად განვსხვავდებით! აბა, დამისახელეთ, რომელი ერია ჩვენსავით მომთმენი და მიმტვევებელი, დარდიმანდი და სევდიანი, ფიცხი და გულჩვილი?! ქართველ კაცს ყველგან ადვილად ცნობენ, სადაც უნდა იყოს! ათი ერის წარმომადგენელი რომ უსხდეს სუფრას რესტორანში, გადახდის დროს ოფიციალტი ანგარიშის ქვითარს მხოლოდ ქართველთან მიიტანს. მან იცის, რომ ყოველთვის ქართველია მასპინძელი, აქაც და, სადაც ჩადის, იქაც!.. სად გსმენიათ და გინახავთ ასეთი მრავალხმიანი სიმღერები და ცეცხლოვანი ცეკვები? ინგლისელებმა, ჩვენი ცეკვის სახელმწიფო ან-

სამბლის ხელოვნება რომ იხილეს, სხვა პლანეტიდან მოსული ხალხი გვიწოდეს!..

არა, ქართველები ნამდვილად სხვა პლანეტიდან მოსულები ვართ! ჩვენ რომ ადგილობრივი ხალხი ვიყოთ, ამ მიწის კანონიერი ბატონ-პატრონი, მაშინ ამდენს ვერ გაგვიბედავდნენ აფხაზები, ოსები, აზერბაიჯანელები და კიდევ სხვები! „ქართველებო, წაეთრიეთ აქედანო“, რომ გვეუბნებიან სამურზაყანოსა და სამაჩაბლოში, ალბათ, მართალია ის ხალხი, — ამოუვიდათ ყელში ჩვენი ამდენი ხნის სტუმრობა!.. იმათ რას ვერჩით, როცა ჩვენი წინაპრები არიან დამნაშავენი! თუ სტუმრად ხარ მოსული, წადი, შე დალოცვილო დროზე, რას აბეზრებ მასპინძელს თავს?! აგერ, ებრაელები, ოცდაექვსი საუკუნე იყვნენ სტუმრად და მერე ისევ დაუბრუნდნენ თავიანთ სამშობლოს, ჩვენ კი ვერა და ვერ ვისწავლეთ ჭკუა!

ისე, ჩვენში დარჩეს და, ეს მინა-წყალი მართლა ჩვენი რომ იყოს, ასე უმონწყალოდ არ გავანიავებდით, არ გავყიდდით და არ გაფარუქებდით, არც ასე თავისუფლად შემოვუშვებდით საცხოვრებლად ამდენი ეროვნების ხალხს!.. ალბათ, მართლა არ არის ჩვენი და ამიტომაც, სულ რომ არ გვენადვლება!..

ჰოდა, უკვე დროა, ქართველებო, დაუბრუნდეთ ჩვენს მშობლიურ პლანეტას!

ამ ბოლო დროს მფრინავი თევზები რომ დაგვტრიალებენ თავს, ეს შემთხვევითი ამბავი ნუ გგონიათ თქვენი ისინი ჩვენი თანამოძმეები არიან! ალბათ გაიგეს, აქ რომ ასე გვაგვიწოდებენ და საშველად მოვიდნენ „თევზებები“! თუ კეთილად არ გასრულდა ყველაფერი, ალბათ, ისევ უკან წაგვიყვანენ!.. მაღე მოვა ის დრო, როცა მაინც თვალცრემლიანები გამოვეთხოვებით დედამიწას და ასე გადმოვძახებთ მფრინავი თევზის მოაჯირიდან: „ნახვამდის, დედამიწაე! ქართველები ვუბრუნდებით ჩვენს მშობლიურ პლანეტას. მივიდევართ და ჩვენს დიდებულ საქართველოს გიტოვებთ თქვენ, ვისაც ასე ხარბად გინდათ მისი მითვისება და დასაკუთრება! ჩვენს მივდივართ და გიტოვებთ ვარძიას და უფლისციხეს, იყალთოს და დავით გარეჯს, ზარზმას და საფარას, ოშკასა და ალავერდს, ჯვარასა და სვეტიცხოველს!.. მოუარეთ და გაუფრთხილდით, მაგათზე უკეთესს თქვენ ვერაფერს შექმნით! გიტოვებთ ჭკუასა და გონებას, რაც ასე გაკლიათ და გჭირდებათ! ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ! გიტოვებთ ჩვენს მამაპაპურ სინდის-ნამუსსაც, ხანდახან ეგეც საჭიროა, აბა, სულ უსინდისონი და უნამუსონი ხომ არ უნდა იყოთ?! რაც იარაღი გაგვაჩნია, იმასაც თქვენ გიტოვებთ, ჩვენ ვერაფერში ვერ გამოვიყენეთ და თქვენ ერთმანეთს რომ დაერევით, მაშინ დაგჭირდებათ! გიტოვებთ აგრეთვე უამრავ ინსტიტუტსა და რუსული ენის სპეციალისტს რათა ნორმალურად შეისწავლოთ. აღარ დაამახინჯოთ ის დიდებული ენა, რომელიც ასე გიყვართ! ჩვენ კი მივდივართ და თან მიგვაქვს თქვენი დედაენების სახელმძღვანელოები, რომ შემდეგ ჩვენმა შთამომავლებმა ჩამოუტანონ თქვენს შთამომავლებს და გაახსენონ, რომ ოდესღაც მათაც პქონდათ თავიანთი მშობლიური ენა!.. ნახვამდის, დედამიწაე! ჩვენ, ქართველები, ვუბრუნდებით ჩვენს მშობლიურ პლანეტას! დიდი მადლობა ასეთი კარგი მასპინძლობისათვის, მაგრამ ღმერთია მონამე, არც ჩვენ ვყოფილვართ ცუდი სტუმრები!..

ჩვენთან არს ღმერთი! დაე, თქვენთანაც იყოს იგი, უგანურებო!

ნოდარ ხუნწარიძე

სარვაშართო დუსტიქი

I

კალამს ვიღებ, ისე ვღელავ,
 ხელი მიკანკალეებს:
 მსურს ზეიმი მოგილოცოთ,
 მოგეფეროთ ქალებს!
 შენ, ქართველო დედაკაცო,
 მძლავრი მუხის ფესვო,
 მსოფლიოში ყველა ქალზე
 ახჯერ უკეთესო,
 უნაზესად დასაკრავო
 სალამურის ღეროვ,
 უპომადოვ, უტუშოვ და
 მაინც მშვენიერო!
 შენს საქებრად ავაუღერებ
 ჩემს ჩანგსა და ებანს,
 არვერაგო, არცბიერო,
 ქალო — სათნოებავ!
 იმრავლეთ და იდიადეთ,
 დედანო და დანო —
 არამსმელო, არმწეველო,
 არანარკომანო!

II

კალამს ვიღებ, ისე ვღელავ,
 ხელი მიკანკალეებს:
 მსურს ზეიმი მოგილოცოთ,
 მოგეფეროთ ქალებს!
 შენ დიდება, ჩემი ერის
 ღონეო და ჯანო —
 ქეთევანო, თინათინო,
 ნესტან-დარეჯანო!
 შენი გულით, შენი სულით
 სუნთქავს საქართველო —
 ქალო — შვილო, შვილიშვილო,
 ქალო — მეზობელო!
 კალამსაც და ჯავარდენსაც
 ერთნაირად ხმარობ —
 ქალო — მეფევ, პოეტო და
 ქალო — მეომარო!
 ვინძლო სისხლი წინაპართა
 მუდამ ახმაურო,
 ქალო — დედავ, ქალო — დაო,
 ქალო — ნანდაურო!

ნუგზარ აფხაზავა



— რამსიმადლეა ეს კაცი!

— სიყვარულმა აამაღლა!

განცხადება

მარ 80-ს მიტანებული, საშუალოზე მაღალი, პირხმელი, ბეჭებში ოდ-
 ნავ მოხრილი, კალარაშერეული მამაკაცი. ხანდახან ხელები მიკანკალეებს.
 ფეხზე დგომა მიჭირს!.. უსაშველოდ მიყვარს ხელა და ქსიტვა, ცოტა ლა-
 პარაკი და ბევრი ძილი. მყავს შვილი შვილი და ოცდაშვიდი შვილიშვილი,
 რომლებიც ჩემგან შორს და ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მაქვს ორსართულიანი
 ოლა-სახლი თანამედროვე დგამ-ავეჯითა და კომუნიკაციებით. მყავს ორი
 კამეჩი, ორი ძროხა, ორი ქოფაკი, ერთი ცხენი, ერთი ვირი, ერთი თხა.
 ოთხი ღორი ათი გოჭით, ათი ფრთა ქათამი, ხუთი ფრთა იხვი, ამდენივე
 ბატი, ერთი ფრთა ციცარი, მაქვს ათას ხუთასი კვადრატული მეტრი ყანა,
 ათასი კვადრატული მეტრი ვენახი, ხუთასი კვადრატული მეტრი ბოსტანი.
 შარშანწინ გარდამეცვალა ერთადერთი და ერთგული მეუღლე. ამჟამად
 ვცხოვრობ უმისოდ და ძლიერ განვიცდი მარტობას. ვეძებ ასე, 68-70
 წლის ჯანიან, მაღალ, მკერდსავსე, ლამაზი შესახედაობის, სამ-ოთხ ნაქმარევე,
 უშვილო ქალს. სასურველია ალერგიულად იყოს განწყობილი სტუმრებისა-
 დმი, მეზობლებისადმი, ნათესავეებისადმი, უმეტესად — მამაკაცებისადმი,
 ჰქონდეს ნამეტანი სურვილი, გვერდში ამომიდგეს და გამიწიოს ნამდვილი
 ქართული, ულალატო მეუღლეობა!

ტელეფონები: 15-15, 20-30. იკითხეთ მიქელ ბუტო.

რევაზ ლორია
(ქ. ლანჩხუთი)

მეგობარი



ნახევარი

ნოველა

ის იყო, აბაზანა მივიღე და ცხელი ყავით სავე ფინჯნით ხელში ტელევიზორის წინ დივანზე წამოვგორდი, რომ სადარბაზოსთან დარეკეს.

ყოველი შემთხვევისათვის შეთხლებულ თმაზე ხელი გადავისვი, პიჯამა შევისწორე და კარის გასაღებად წავედი. ყოველი შემთხვევისათვის სათვალთვლოდან გავეხედე და სახტად დავრჩი: ცისფერკობლებიან თეთრ კაბაში გამოკვართული ქერთამიანი ქალი იდგა!..

მაშინვე საგდულს გავკარი ხელი და ყურთამდე გავაღე კარი. — რობინონ ცელქიშვილი თქვენ იქნებით? — სანდომიან სახეზე ღიმილი დაიმჩნია და გაკეცილი ქოლგა შეათამაშა ხელში. — დიას, ცელქიშვილი გახლავარ!.. რაშია საქმე? — თვალუბად ვიქეცი.

— ისეთი არაფერი, — ცოტა დაირცხვინა, — უბრალოდ, განცხადება წავიკითხე და ამის გამო შემოვიარე.

— რომელი განცხადება? — წამოვისროლე დაუფიქრებლად და იმავე წამს გონს მოვეგე, მივხვდი, რომ ბედნიერება კარზე მომადგა და ჩემს ხელის დაქნევასღა ელოდა, რომ სახლში შემოფართკალებულიყო.

ბევრი აღარ მიფიქრია, შინ შემოვიპატიყე. სანამ სკამს შევთავაზებდი, სველი ქოლგა გასაშრობად გაშალა და კარს უკან მიაცუდა, მე უკვე თადარიგს ვიჭერდი მოულოდნელი სტუმრის დასახებდრად, მაცივართან ჩავიმუხლე და გონების თვალი კიდეც ერთხელ გადავაღე ჩემს მიერ ამ ორიოდე დღის წინ შედგენილ განცხადებას:

„ვარ ორმოცი წლისა, საშუალოზე ოდნავ მაღალი, უმაღლესი განათლებით, ტიპური ქართული სახე მაქვს, ოღონდ უღვაშს არ ვიყენებ, სპორტიანებიდან მხოლოდ ღვინოს ვსვამ, ოღონდ ზომიერად, მაქვს ერთთახიანი თანამედროვე კომფორტით განწყობილი ბინა. ვეძებ ცხოვრების თანამგზავრს, ასაკით ოციდან ოცდაათ წლამდე, სასურველია შეეძლოს ოჯახის გაძღოლა და იყოს ყურადღებიანი ქმრის მიმართ. ჩემთან ბედის დაკავშირების მსურველი წინასწარ უნდა შეეგუოს იმას, რომ ვარ მელოტი, ოღონდ კინკრისო ჯერ არ მილაპლაპებს, ნაზი ბუსუსით მაქვს დაფარული. ქალწულობისადმი პრეტენზიული არა ვარ, ოღონდ ქმარცოცხალი ქვრივები თავს ნუ შემომთავაზებენ. მსურველებს შეუძლიათ მომაკითხონ შემდეგ მისამართზე, ან დარეკონ...“

— კონერო ია ნე დევიცა, ნო ი ნე ვდავა! — შემომცინა. ჩამოქნილი ფეხები შეეტყუებინა და კოპნიად იჯდა სკამზე.

ზრდილობიანი ღიმილი შევაგებე და სუფრასთან მივიწვიე. პირისპირ დავსხედით და ერთმანეთის ცქერით ვტკბებოდით, საჭმელი ვიღას ასსოვდა! ჯერ ჭიქები შევუტოლეთ ერთმანეთს, შამპანური დავაჭაშნიკეთ, მერე ჩვენ თვითონ დავეტოლეთ და კოცნის ჭაშნიკიც არ დავახანეთ.

— მე პირველი დანახვისთანავე დადებითი აზრი შემექმნა თქვენზე, — დაიწყოჩუღა, — მას აქეთ გაკვირდებით და უფრო გამომტკიცდა პირველი შთაბეჭდილება.

გარეთ ისევ წამოუშინა წვიმამ და ღვარცოფად აიფოფრა დაბლა ასფალტზე. ჩვენ ფანჯარასთან ვიდექით!..

— დარჩებით? — ვკითხე გულის ფინჯნით, — ან კი სად უნდა წახვიდეთ ამისთანაში?

— დავრჩები, მაგრამ სამუდამოდ არა... გამოსაცდელი ვადით! — თვალმოჭუტვით შემომხედა, ამძივული კბილები დააჭირა ქვედა მადისმომგვრელ ტუჩს.

— მაინც რამდენს გულისხმობს ეგ „გამოსაცდელი ვადა“?

— იმდენს, რამდენიც დაგჭირდება იმის დასადგენად, ვართ თუ არა ერთმანეთისათვის გაჩენილი. მსუბუქად ვივარსებთ, მერე მან შხაპი მიიღო და მთელ საღამოს ერთად ვიყავით — შენოვითი კოცნის ხელოვნებას ვეუფლებოდით. ალერსის პირველ ეტაპზე კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს, მერე კი ლოგინში გადავიწვლიეთ!..

„ეს რა ჭკვიანურად მოვიქეცი, რომ ახალი ბინის მიღებისთანავე განცხადება ვაფრინე რედაქციაში, გაზეთში გამოქვეყნებას აღარ დავულოდე და რკინიგზის ვაგზალთან და აეროფლოტის სალაროებთან გამოვაკარი. აი, ახლა ჩემი მცდელობის პირველივე ნაყოფით ვტკბები.“ — ვფიქრობდი და თან შიშველი ქალის სურნელებით გამთბარ ლოგინში ვნებვიერობდი.

— ლიზი, რას იტყვი, ხომ გიყვარვარ? — ვკითხე დილით.

— თითქმის, — კეთილად გამიღიმა.

სამსახურში არ წავსულვარ, მთელი დღე პატარძალთან ურთიერთობის გარკვევას მოვანივებდი.

— რობი... მოი რობი, ნო უშინი! — მეალერსებოდა.

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ტანით, ფეხით, ხასიათით უკეთეს ცოლს ვერც ვინატრებდი.

იმ საღამოს ქორწინების ფრეგში ვიყავით გამონწყობილი, მე ვარდისფერი შარვალი და მენამული ბლუზა მეცვა, მას კი — ყოლოსფერი პენუარი. ნითელ ღვინოს ვსვამდით და ჩვენც ვიფერებოდით — ლაჟღაყი გაგვქონდა. მერე ნითელაბაჟურიათი ღამის სანაბი ჩავრთეთ და ნითელსაურიან ლოგინში შევგორდით. ღვინითა და ალერსით მთვრალს მკვდარივით ჩამეძინა!..

დილით გვიან გამომეღვიძა, შაბათი დგებოდა და წინ სიამით სავესე უქმე დღის გახსენება ენით აუნერულ სიხარულს მგვრიდა. ჯერ ისევ თვალსუჭულამ თანამშროლისაკენ გავიწვინე ხელები, წამინამზე ველოდი მასთან შეხებას...

მით უფრო მწარე გახდა იმის შეგრძნება, რომ ჯერ ისევ თბილი ლოგინი ცარიელი იყო!.. ავმა წინათგრძნობამ ფეხზე წამომამგდო, უწინ აბაზანისაკენ გამექცა თვალი, მაგრამ ვიდრე იქით წავიდოდი, ტელეფონის მაგიდასთან ნაწერი თაბახი დავინახე. ძალიანაც არ მიწოდდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, ავიღე და თვლი გადავაღე...

„მეირფასო რობინონ. ერთად გატარებულმა ამ ორმა დღემ საბოლოოდ დამარწმუნა შენს სიყვარულში, ჩვენ რომ ცოტა ადრე შეხვედრდით ერთმანეთს, ეჭვიც არ მეპარება, რომ თითოეული საჩვენებელ ოჯახს შევქმნიდით, უთუოდ ბედნიერები ვიქნებოდით. ახლა კი... თქვენს ქალაქში მივლინებით ვიყავი, საქმეები მოვთავავე და აეროპორტში გავემგზავრე. ჩემი საუბედუროდ თუ ჩემს ბედად, ფრენა არ იყო. სასტუმროში მოხვედრის შანსი არ მქონდა, აეროვაგზალში ღამის თევას კი სიკვდილი მერჩია!.. სრულიად შემთხვევით სალაროებთან გაკრული თქვენი განცხადება წავიკითხე და... დანარჩენი თქვენც იცით, რაც მოხდა!..“

ნუ მიწყენთ და მომიტყვეთ! გემშვიდობებით ერთ დროს თქვენი ლიზი!“

დავყურებდი სახელდახელოდ ნაჩხაპს და ახალა ვხედებოდი, თუ რისთვის იჯდა ხოლმე ტელეფონთან ასე ხშირად ჩემი და აღარც ჩემი პატარძალი... თურმე აეროპორტში რეკავდა, ფრენა არის თუ არაო, აზუსტებდა.

ბარათის ბოლოში, მისი სახელის გასწვრივ, ციფრების მწკრივს მოკვარი თვალნი.

„თუ ტელეფონის ნომერი მაინც დამიტოვა, კიდევ არა მიშავს, ყველაფერი დამთავრებულად არ ჩაითვლება“, — გავიფიქრე იმედინად და ქალაქს წავეპოტინე.

რეისის ნომერი აღმოჩნდა.

იმედის ნატამალი მაინც ბუსუტავდა ჩემში, მაშინვე აეროპორტში დავრეკე. ხომ შეიძლებაო, რომ ისევ გადადებულიყო ფრენა და ლიზი კვლავ ჩემთან დაბრუნებულიყო?..

— ალო, ალო!.. არ დამიკიდოთ, გენაცვალე, რეისი 5228 მაინ-ტერესებს!..

— უკვე ჰაერშია თვითმფრინავი! — ანჩხლად მიპასუხა ქალის ხმამ და უშალ გაითიშა ტელეფონი!..

მოახლოებულმა ხმაურმა ფანჯარაში გამახედა, ქალაქის თავზე სამგზავრო ლაინერი მოფრინავდა და თანდათან იწვედა ცაში!..

ელგუჯა მერაბიშვილი



ნახ. ი. ლომსაძის ნახატი („ეროკოდილი“, № 26, 1982 წ.)

ამერიკაში მუშაობის უფლება?!



გიგისის წიგნი ვის არ გაუგონია, მასში მოხვედრას ვინ არ ნატრულობს! ზოგიერთი ტყვის ხანგრძლივობით, ყველაზე დიდხანს ლაპარაკითაც, ყვირილითაც ამყარებენ რეკორდს. მოკლედ, წიგნი მოხვედრილა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა!.. მაგრამ რატომღაც აზრად არ მოგვსვლია რიგში დგომით კაცობრიობა გაგვეკვირვებინა და ჩვენც მოვხვედრილიყავით გიგისის წიგნი — ჩვენი შესაძლებლობით აფრიკის ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანასაც კი ვაჯობებდით!

მე მოშურნე არა ვარ და შემოდია ბევრი რამე დაგიტოვოთ, მაგალითად: რადგან მანქანა არ მყავს, ინებეთ და ბენზინის რიგში დგომის რეკორდი დაამყარეთ! მრავალსულიანი ოჯახი არ მყავს და საპნის, სარეცხი ფხვნილის რიგში დგომის რეკორდშიც არ შეგეცილებით არავის!

არაყსა და ღვინოზე ქართველმა კაცმა არ უნდა იფიქროს! აქაც რეკორდი რიგში დგომაზე სხვებისთვის გადაგვილოცავს, რადგან არაყის მაგივრად ოდეკოლონსაც სვამენ და იგიც, რიგში ვინც დგას, ყველას არ ხედება!..

ნურც ჩაიზე შევეცილებით ერთმანეთს! მობრძანდით, ბატონო, თუ მალაზიის არ გნებავთ, ჩაის პლანტაციაში მოკრიფეთ, ოჯახური ტექნოლოგიით დამზადებულზე უკეთესს რას დალევთ?

შაქრის რიგში დგომაც სანატრელი გაგვიხდა და ამიტომ ეს სახეობა ამოღებული იქნება შეჯიბრებიდან!

რადგან საერთოდ არა გვაქვს რიგი, ამიტომ სჯობს ყველა დასახელებაში მივიღოთ მონაწილეობა, ვისახელოთ თავი!

მაგრამ ერთია საფიქრალი: ვინ უნდა გამოვიწვიოთ შეჯიბრებაში? ამერიკელები?

მე ერთ სოლიდურ გაზეთში წავიკითხე: არცთუ ისეთ დიდ მალაზიაში 44 დასახელების არაყი იყიდებოდა ურიგოდ და იქ არც ერთი მთვრალი არ უნახავთ!

ეგებ ხორცის რიგში მოგვეძებნა მოწინააღმდეგე, მაგრამ როგორ, როცა ჩემი თვალთ ვნახე ტელევიზორში: ევროპის საერთო ბაზრის ორ ქვეყანას შორის კინაღამ ჩხუბი ატყდა — ფრანგმა ფერმერებმა ინგლისის საელჩოში საქონელი შერეეს, სად გავსალოთო!

უფრო ძველიც გამახსენდა — „ქათმის ომი“ ამერიკასა და ევროპას შორის. ასეთი სახელმწიფოების მოქალაქეებს ჩვენ ვერ გამოვიწვევთ შეჯიბრებაში! მოიცა, მოიცა! გამახსენდა ერთი ფელეტონი, ჟურნალ „ზა რუბეჟომში“ რომ ეწერა. აი, სად შეიძლება ოქროს მედალი წავვართვას ამერიკელმა! იმ ფელეტონის შინაარსი ასეთია: ამერიკელი რიგში დგას ავიაშიდის შესასყიდად და ელოდება, როდის ჩამოწერენ ავიაშიდს!.. ჩვენ ყველამ ვიცით, ავიაშიდი უბრალო გემი რომ არ არის და რამდენი წლის ლოდინი დასჭირდება იმ ამერიკელს?!

კეთილ მოთხოვნებო, ეგებ თქვენც გაგახსენდეთ, რის რიგში დგებოან კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომ შეჯიბრებაში გამოვიწვიოთ ისინი?

კუპური კუპულაძე
(ქ. ლანჩხუთი)

მეგობრული შარვი თანხიზ გოგოლაძისა



შოთა რუსთაველი

ჭეშმარიტ პოეტს, რაინდ ნიანგელს, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეს, ჰქონდეს ასეთი სიტბო, სილალე, სულის ასეთი სიმაღლე ჰქონდეს!

ზაურ გოლჭავაძე

გარდაქმნად და გარდაქმნის უმადებ

ამორალური ჭკვიანობის მოხსნეს!

რუ გაათვრებს, ნეტავი, უორანს?

დღეს დავინიშნეს უფროსად მოყმე და... თითის ქნევით გვიკითხავს მორალს!

მიჩვეულ იყო არჩევანს უველანს, თუმცა „მკვდარ სულად“ იყო ჩათვლილი არ აირჩიეს თათბირზე ერთგან და მყის ნაცნობა დათმო თათბირი!

რადგან კრებაზე აირჩიეს მკვლარი სულელები, საქმიანთათვის ცოტა დარჩა ადგილი შემდეგ! ასე ცოტა კი ვერ ეყოფა საქმეს სრულებით და საქმისწინა თავი ღამის ახალონ კედელს!

ფარისევლთა იყო შექრება, რას შეჰღიმიოდნენ, ბიჭო, ერთმანეთს! ცალ-ცალკე ისე ლანძღვდნენ ერთურთს, ბეტკიებოდა გული, ღმერთმანი!

შექმნა კოორპირაცი, არავისი ერიდება, პროდუქტსა და მწვანელიეულს ბაზრებიდან ეწიდება!.. არ იცის თუ ვერ გაიგო ის წესდება, რაც ვუთხარი, — პროდუქტების წარმოება უნდა ჰქონდეს საკუთარი! გემრიელად კი ამზადებს სხვა „კოოპებს“ ეჭიბრება, მაგრამ ერთი კაცის შესვლა ახე კაცის ფასი ჯდება!.. იქიდან რომ გამოდინარ, ჯიბე დათვის ნატორია, კაცი ცოცხლად თუ შექამა, რა კოორპირატორია?!

ვინც დააქცია ქვეყანა მთელი, სულ ცოტა ხანი გაუშვებს, მოხსნეს! დღეს უკეთესი ადგილი შევინს, შენ მკერდზე მჯილით იძახე „ოხმე!“ კვლავ ბღვერით გვიმზერს (მის თვალში ვინ ვართ?), სულ არ შესცვლია არც ხმა, არც ტონი, ახლა დარწმუნდი, ჩემო ბატონო, რომ დღეს უველაფერს ნიშნავს პატრონი?

ძველ მოწოდებებს ნულარ მიჰყვებით! — ეს უკვე გვამცნო კარგმა მოყმემა, რომ შეიცვალა მხოლოდ სიტყვები, რომ შერე სიტყვას საქმე მოჰყვება?

დღეს სიტყვას საქმე თანდათან მოსდევს, დახამდევია წარსული მთელი!.. აღარა ვუვებით სიტყვებს და ბოღვებს, შენც გაატოკე თავი და ხელი!.. უსმენ, უუფრებ, წარმატებები ვით მოიპოვა ამ და ამ დარგმა? შენც გაინძერი პატარა, თორემ განა თავისით მოვა გარდაქმნა?

გ ა ბ ღ ი ნ ძ უ ლ ე ბ ს

უთხარი, ვისაც ხახე აქვს უადის, ნუ იქიმება, ანდა ნუ ღელავს!

კი. სამართალი სულ ურმით დადის, მაგრამ ეწევა ბოლოს სუუველას!

გ ო რ ო ბ ი

მან იცის სხვათა არად ჩაგდება, ისიც კი იცის, თვითონ რა არის ის არასოდეს დაიხარება, რადგან ხალხამით ხახე ზღვა არის! სულ თვითონ უნდა ქვეყნად უოველი, „მე!“ „მე!“ — ეს არის მისთვის მთავარი! სხვა თუნდა დარდის ზღვაში დაიხაროს, არ ენალვლება ქვეყნად არავინ!

რ ო ც ა...

როცა ცამდე მართალი ხარ, გამართლდები, გჭერა იცდი!.. გაგამტყუნებს უცებ ზოგი, აბა, მაშინ რას განიცდი?! როცა თვალბებს ულონობის მწარე ცრემლი მოწვიმდება, ვისდამი გაქვს იმ წუთებში სიყვარული, მოწიწება?! როცა ირგვლივ სიკეთეს სთის, გიმტკიცებენ — „ეკალია!“ — რუ ფახე აქვს იმ წამებში ჩინს, სკამსა და რეგალიას? როცა გულით ეკიდები უველა საქმეს სამამულოს, ანამარას თუ გაურიან, ვი, გულო, ხანანურო, როცა შრომის ოფის იწურავ, „წარმაცია!“ — ამბობს ზოგი! იმ წუთებში რას ჩურჩულებს გული შენი ოქროს ზოლი?! როცა კაცი საძულველი სალამს მოგცემს კბილთა ღრქენით, რუ სურვილი გებადება, რას განიცდის გული შენი?! როცა ხედავ, სუსტს ჩაგრავენ, ანდა საწყაღს დასცინიან, მაშინ აღამიანობა დაინახავ, რა ძვირია! როცა პროფილაქტიკაში დამნაშავის სახით დგახარ, რას განიცდი, რომ არ გამჩნევს ოსტატი და უვება ზღაპარს?! როცა ძალზე თავს გამეტებს, ვინც იზოვა ფული „ლევა“, ვის გვერდითაც არ დადგები, თუნდაც ლუდის დახალევადა, შენს დაწყებულ საქმეს როცა გააგრძელებს ვილა? ლაყე, ვინაც ნაცარს თვალში გაურის, ვინაც მარტო ალაქლაქე, როცა ზოგი შურიი ხახე კულს გიქნევს, თავს აკანტურებს, ზოგი კიდევ გადმოაჩქევს დამორების ნაქადულეებს, როცა სუყველასი გჭერა, ვისაც რამეს ჰპირდებიან, როცა ხვალის იმედები სიხარულად დიდდებიან, როცა ცამდე ხელაწვდილი ბედნიერი სახით დახვალ, მაგრამ უცებ შავი შურის ჩაგახობენ გულში ლახვარს, როცა შენი იმედი აქვთ, შენ კი უოველად ხარ ულონო

და მოვალე — ზოგჯერ სულელს დარიგება გაუგონო, როცა სალამს, შენცა... როცა არც კი უპასუხებს, როცა ლერწმებს დაარქმევენ ძელქვეებსა და იფან-მუხებს, როცა მცირე კაცუნები სულ ზემოდან დაგუურებენ, როცა კეთილ სურვილების ვერა ხედავ ამსრულებელს, როცა ზოგი კვერცხი წივის, ზოგის ხამის ჩხრიალია, როცა ზოგის კაკალი კი იფანტება რიარია, როცა თავზე ფეხს გადგამენ და — „ჩუმადო!“ — დაგბღვერიან, როცა ზოგი ქალი რაა, კაციც პირად ცხრაფერია, როცა კაცის კაცურობას ქირქილებენ, დასცინიან, როს სინდისი იაფდება, საქონელი — რა ძვირია, როცა ზოგი ფუტკარივით მშრომელი და მართალია, თუ ღირსება შეუღლებს, მერე მართლა აფთარია, როცა ზოგზე აღარა სჭრის, თუნდ უკითხე ცხრა მოძღვრება, ის არ იცის, რომ კაი ქვა უორებს არხად გამოსძვრება, როცა გეტყვის ძუნწი: „შენთან ღამეს ღზინით გავითვდი, ჯიბეში რომ ჩურჩხელა მაქვს, ისე ტკბილად დამიბერდი!“ როცა ზოგი ისეთია, თავს ვერაფრით შორევი, გთხოვს, გროშები მახსხელო, თვითონ მილიონერია, როცა ზოგი წარმაცია, გინდ ქვა ქვაზე დაგიდვია, შენი ტელეფონი რეკავს მისი ახლად ნაყიდი აქვს, როცა ზოგი ორივე ხელით ეკიდება სკამის კიდეს, ოღონდ ეს არ დავკარგოო, თუნდა ვირზე შესვი კიდევ, როცა სკამზე დაგაბრძანეს, ხალხიც, სკამიც ჩაგაბარეს, როცა გინდა დიდი ლუქმა მოიტხოო, ამხანაგო, შენ ერბოში იბანავო, პასუხი კი აქ სხვამ აგოს? როცა საქმეს სხვა აკეთებს, — „ჩვენა ვართო, ვიშრომეთო!“ წარდგინება როცა არის, — „ჩერ მე დამაჯილდოეთო!“ „როცა“ ისე მრავალია, რაც მართალი მართალიო, ზოგი „როცა“ ამიტომაც შევინახოთ სახვალიოდ, უნდა გავცეთ უველა „როცას“ პასუხები ახალიო! იქნებ იყო პასუხები უფრო კარგი, მაღალიო, რომ საყურედ ჰქონდეს ზოგას, ზოგაც გულზე სახალიო! ზოგი ლექსი ძმა შენი, ზოგი — და და დაქალიო, ზოგი არის ხმალი, შუბი, მტერს შიგ გულში დაქარიო! ზოგი ნაღდად მაღამოა, ზოგი — ტკბილი ზღაპარიო! ახლა დაგემშვიდობებით, ზაზა ხარ თუ ბაქარიო!.. „როცა“ უკვე იმდენია — ათი, ასი, ათასები! სათქმელი და საწუხარი — კვლავ პასუხებგახაცემი!

საქართველო კაობერტაჟი

ახლა მართლა სამიღვინიოდ გემზვიდობებით, ჩემო ცოლო და შვილო, დაო და ძმაო. ბიძაშვილო და მამიდაშვილო, მოკეთევ და ნათესავო, ყველა კაი მეზობელო, მეგობრებო!..

გინდ გაიკვირვით და გინდ გაიოცეთ — კუბოში გაშოტილსაც მეყურებოდა თითოეული მათგანის სამიძიარი თუ ცოლისათვის შეტირებული: „ეს რა მეხი დაგეცა. ფერიდე, ჩემო დაიკო!“



არ დაგიმალავთ და მსიამოვნებდა, ერთ რამეზე მწყდებოდა ოლონდ გული — თვალთ რომ ვერ გხედავდით! მაინტერესებდა, ვის შავი ეცვა და აქედან უკრული!

ჭაჭალიეს ხმა არ გამიგონია, მაგრამ მაგ გლახას, ალბათ, უკვდავი გონია თავი!

ერთი სიკვდილი მე მაშინ მოგვეკვდი, ჩემი შტატი რომ გააუქმეს და მშრალზე დამტოვეს! მე შენ გატყვი და, „ზამინისტრი“ ვიყავი! სამნეო ნაწილს კაცი გააუქმებდა?!


მეორედ მაშინ განვუტევე სული, მაიკო რომ ჩამიჭრეს ქუთაისის გეპეიში, მეოთხე საგანში!

ბოლოს რომ მოგიკვდი, მოგვეკვდებოდი, აბა რა იქნებოდა? — საკმელი სოდის ნაცვლად სარეცხი სოდით ამომირეცხეს საავადმყოფოში კუჭი!.. სინამდვილეში მოკარდი მქონია ასპროცენტიანი! ღმერთმა შეუნდოთ უფიცობა, მაგრამ ეს სარეცხი სოდა რამ გაამეტებინათ ამ უსაპნობის დროს?!

ხოლო ახლა რომ სამიღვინიოდ გემზვიდობებით, ამაში საფლავის ქვების დამამზადებელი კოობერტივი „სამოთხეა“ დამნაშავე: ჩემმა საბრალო ფერიდემ ოთხი ათასი ისესხა ჩემ ვასასვენებლად, ქელენზე შვილი ათასი შეგროვდა თითქმის, ორმოცზე ორნახევარი ქე დაიხარჯა და ამ ყიტომირის ქვაში ორი ათასი რა პირით გამოძალეს იმ უნამუსოებმა?!


ტიტა ჯამთარაძე

ნახ. ვ. ლოლუსანი



— რა წახიერა მუშაკი იყო, უოველთვის დროზე მოდიოდა ხამსახურში, ახლა რა მოუვიდა?
— ხიხხი გაუშრეს, გარდაიქმენიო და... გარდაიქმნა!

საქართველოში სტერტი



ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

ჩვეულებრივი ტირი ანუ სპეციალური ნაგებობა სავარჯიშოდ მიზანში სროლისათვის, ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც უნახავს, მაგრამ სულ სხვაა ჩვენი საუკუნის ტექნიკური სიახლე — ბიუროკრატიული ტირი!

ასეთი ტიპის სასროლეთი, როგორც წესი, დიდ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულებთან იხსნება ხოლმე, მაგრამ თუ მისი გავრცელების არეალი სამეცნიერო-სააღმზრდელო დაწესებულებებსაც მოიცავდა, დღემდე ცოტა ვინმემ თუ იცოდა და მათ შორის „ნიანგმაც“...

ნათქვამის საილუსტრაციოდ ერთ ასეთ ბიუროკრატიულ ტირში შევიხედავთ, ტირში რომელიც საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენისან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ფუნქციონირებს. როგორც ტექნიკურ სიახლეს შეეფერება, ბიუროკრატიულ ტირში ძირითადად თანამდებობის პირები ვარჯიშობენ, ამიტომ აქ გამოიყენება განსაკუთრებული ტიპის სასროლი იარაღები: კალამ-ავტომატი და ხელის „დიროკოლის“ სისტემის ტყვიამფრტევეი, ხოლო სამიზნეებად გამოიყენებულია მანქანაზე ნახევრი თუ ხელით ნაწერი საქმიანი ქაღალდები. ყოველ ასეთ სამიზნეს თაბახის

ფორმა აქვს, მაგრამ მის უკან ადამიანის ფიგურაა ამოფარებული. ამიტომ ტირში მოვარჯიშე ბიუროკრატი ცდილობს ისე დაუმიზნოს თაბახს, რომ მის უკან მდგომ ადამიანს შუბლში თუ არა, გულში მაინც მოახვედროს, მაგრამ შუბლში უმჯობესია იმიტომ, რომ თაბახს უკან უმეტესად მოაზროვნეები დგანან.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებულ ბიუროკრატიულ ტირში, ეტყობა, არიან გამოცდილი მსროლელები, რადგან, როგორც პრაქტიკული შედეგებით ირკვევა, სამიზნედ გამოკიდებულ საქმიან ქაღალდებს აუტყდნენ ურტყამენ!

„ნიანგი“ პირველ რიგში იმ საქმიან ქაღალდ-სამიზნეებით დაინტერესდა, რომელთა უკან ამ ინსტიტუტის ასპირანტი ონისე გიორგის ძე გოგილაშვილი დგას.

სამიზნე პირველი:

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატის მიერ გაცემული ო. გოგილაშვილის დახასიათება, სადაც ვკითხულობთ, რომ მან 1981 წელს წარჩინებით დამთავრა ზემოაღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი და მიიღო მშენებელი ინჟინრის სპეციალობა. აქვე აღნიშნულია, რომ მან ჯერ კიდევ 1980 წელს მუშაობა დაიწყო სტუდენტთა საკონსტრუქტორო-კვლევით ბიუროში, ხოლო 1981 წელს სტუდენტთა ნა-

მუშევრების საკავშირო კონკურსზე „წლის საუკეთესო ნაშრომის“ გამოსავლენად იგი საპატიო დიპლომით დააჯილდოეს.

1981 წელს ო. გოგილაშვილი შევიდა ასპირანტურაში და დამთავრა ზუსტად დადგენილ ვადაში. ხოლო 1988 წლიდან დღემდე მუშაობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის № 87 კათედრაზე.

გასულ წლებში ო. გოგილაშვილმა გამოაქვეყნა ხუთი მეცნიერული შრომა, მათი შედეგები საფუძვლად დაედო დინერტაციის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ო. გოგილაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1982-1988 წლებში იყო აკადემიური ჯგუფის კურატორი.

„დიროკოლით“ მოყვებულ იური ნახვრეტი და ქალაღი ბათლია.

დახასიათებაში აღნიშნულ „მომუშავე“ კურატორს კი სამუშაო მხროლედ ესიზმრება. ინსტიტუტის გარეთ დარჩენილი სხვა და სხვა ინსტანციებში ექებს სამართალს.

სამიზნე მეორე:

„სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრო.

„ენერგონებაროქტი“

აქტი № 21-28-2

„უახლოეს მოგაგალები!..“

რაც კი ჩემი თავი მახსოვს (უკვე აღარ მეტქმის „ბავშვი“ — საშობაობისა და გავხდი იმ წლის ბოლო კვირბაღში), — სულ ყველაფერს მპირდებოდა „უახლოეს მოგაგალები!“ ბინა ვთხოვე, ცხოვრება რომ გამიძირდა ცივ ჭარბვალში, აღმასკომის თავმჯდომარემ: — „უახლოეს მოგაგალები!“ მახსოვს, ნიკიტამ რომ მითხრა: „მოდი, ჩამიდექი კვალში, კომუნისტური შეპირებულება უახლოეს მოგაგალები!..“ ბრეჟნევიმ რომ ფეხი ჩადგა ნიკიტას ნატერფალში, ავღანისტანში შემოდგა უახლოეს მოგაგალები! ამას წინათ გამაზვიეს ლოზუნგებში მთლად ახალში: „ამ სახალფიფოს ბარდავპმნიით უახლოეს მოგაგალები!“ მტერ-მოყვარენი გამოჩნდნენ, მომამწყვდიეს ვიწრო რკალში და მოშობახს მპირდებენ „უახლოეს მოგაგალები!“ „უკანმავსა მილაატეს“, ურცხვად გამიწვიეს ხმაღში, ცილობენ, რომ დამარქონ „უახლოეს მოგაგალები!“ მაგ ბრიყუებმა არ იციან, რომ ჩავჯდები ბექთარ-რვალში, „უახლოესში“ კი არა, მართლა ახლო მოგაგალები! არ იციან, რომ ეს გული ნაწრთობია ცეცხლის აღში, არ შემდრკაღა, არ დრკება და არც შედრკება მოგაგალები! თქვენ ჩემი თავი მოგაკვდეთ, ვინმეს თუ დაუვრჩე ვალში, ყველას თუ არ ვაღვლევიო მართლა ახლო მოგაგალები! მე ის არავის ვეგონო, ხავს რომ ეტიდება წყალში, თავის მკლავის იმედით ვარ გუზინ, დღეს და მოგაგალები! მაცხოვარო, შენი სასო გამჭდარი მაქვს რბილს და ძვალში, მიხსენ ერის! — ოღონდ არა იმ დაწყევლილ თეატრში და არც „უახლოესის“ გეტყვი, — მიხსენ ახლო მოგაგალები! როგორც ლათინი იტყოდნენ, ერთხაც გაადრებ ტერმინალში: ჩემს შინაურ მტერ-მოყვარეს (რომ ვესობი ეკლად თვალში), ცოტა ჭკუა უწყაღობე, ოღონდ ახლო მოგაგალები!

ალექსი ზინჯარაული



შური სძიებების
სიხარული
უფროა მეტი, —
ვიდრე,
დავუშვათ,
დახვრეტლის
აღდგომა მკვდრეთით!
შური სძიების
სიხარულის
ამქვეყნად ფარდი
არაფერია, —
კაცის მკვდრეთით
აღდგომის გარდა!

რალა გმირული
შური სგება, —
ვეფხის ნახტომით, —
და რალა კაცის,
მკვდარი კაცის,
მკვდრეთით აღდგომა!
რაც უნდა ბრძანონ
ლმობიერმა ბრძენმა
ძიებმა,
ყველა გრძობაზე ძლიერია
შური სძიება!
შურსრან მავაგარინი

ასპირანტ ო. გ. გოგილაშვილის სადისერტაციო ნაშრომის შედეგების საფუძველზე იტყობა გაანგარიშებანი, აგრეთვე კონსტრუქციები შუათანა საყრდენებისათვის ნაპირო ვადაცემ ხაზებზე, აგრეთვე გაანგარიშებები ანკერულ-კუთხური საყრდენებისათვის.

ასეთი საყრდენების გამოყენება 110-220 კვ. სამაგრო ხაზების ყოველ ას კილომეტრზე იძლევა 240-250 ათასი მანეთის ეკონომიას“.

ამ საქმიან ქალაქ-სამიზნეს თვალი კი ამოუკიფეს, მაგრამ არც კალამ-ავტობატი და არც „ლიროკოლი“ სისტემის ტყვიამფრქვევი არ უსროლიათ, რადგან იგი ბიუროკრატიულ ტირში ოფიციალურად არ შეუტანიათ.

უმუშეგარი ასპირანტი სხვა და სხვა ინსტიტუტებში სიარულისაგან იღლება და სასოწარკვეთილი მოდის ქუჩრნალ „ნიანგის“ რედაქციაში.

ინსტიტუტის პრორექტორის, პროფესორ ა. ნოზაძის კაბინეტში იმართება ფართო წარმომადგენლობითი ოპერატიული თათბირი „ნიანგის“ რედაქციის თანამშრომელთა და ინსტიტუტის მესვეურთა (გარდა რექტორისა) მონაწილეობით. ამ თათბირმა ის შედეგი გამოიღო, რომ იშვა

სამიზნე მისამართი:

ინსტიტუტის პრორექტორის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრისადმი:

„გაცნობებთ, რომ 1985 წლის ასპირანტურის დღის განყოფილების კურსდამთავრებულთაგან განაწილების გარეშე დატოვებულია შორის არის ლითონთა კონსტრუქციების კათედრის ასპირანტი ონისე გიორგის ძე გოგილაშვილი.

იმასაც გაცნობებთ, რომ ო. გოგილაშვილის სადისერტაციო ნაშრომის შედეგები დანერგულია სახალხო მეურნეობაში, კერძოდ კი საქართველოში და ტიუმენის ოლქში...“

აღნიშნული სიახლე იძლევა 250 ათასი მანეთის ეკონომიას ელექტროგადამცემი ხაზის ყოველ 100 კილომეტრზე, რაც ფრიალ დადებითად და სრულყოფილად ახასიათებს

მის ავტორს, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა მეცნიერს.

ვინაიდან ინსტიტუტი ვალდებულია ონისე გიორგის ძე გოგილაშვილის დასაქმებისა და შეუძლია კიდევაც უზრუნველყოს იგი შესაფერისი სპეციფიკის სამუშაოთი უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის საბიუჯეტო საშუალებით (1,0 ს.ე.). გთხოვთ გამოინაკლიოს სახით აღნიშნული გარემოების გამო აღძრათ შუამდგომლობა შესაბამისი ორგანოების წინაშე მისი ქალაქ თბილისში მუდმივი ჩაწერის თაობაზე.

პრორექტორი სამეცნიერო დარგში პროფესორი ა. ნოზაძე“.

ეს საქმიანი ქალაქი ბიუროკრატიულ ტირში არ მოხვედრილა, რადგან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაგზავნა და ამის გამო საქმიანი თვისებები არ დაუკარგავს. თავის მხრივ სამინისტრომ ამ წერილის საფუძველზე შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რის შედეგად თბილისის საქალაქო საბჭომ ოფიციალურად მისწერა განათლების სამინისტროს, რომ ნებას რთავს ო. გოგილაშვილის თბილისში ჩაწერაზე (18. 08. 89 წ. № ორგ 147).

მომდევნო საქმიანი ქალაქი განათლების მინისტრის მოადგილის ბეკლიანი რეზოლუციით ეგზავნება პოლტექნიკური ინსტიტუტის რექტორს: „ამს. გ. ჩოგოვაძეს, გთხოვთ განიხილოთ“.

ქალაქი ბიუროკრატიულ ტირში ხვდება. კალამ-ავტომატის პირველი გასროლა: „პროფესორ ა. ნოზაძეს გთხოვთ განიხილოთ. გ. ჩოგოვაძე“.

მეორე გასროლა: „ინსტიტუტის რექტორს პროფ. გ. ჩოგოვაძეს“.

ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილი თანახმაა ასპირანტურის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ონისე გიორგის ძე გოგილაშვილს, რომელმაც წარმოადგინა საკანდიდატო დისერტაცია, ნება დაერთოს ჩაეწეროს ქალაქ თბილისში, რისთვისაც ინსტიტუტმა ქალაქის საბჭოს უნდა ჩაურიცხოს 18 ათასი მანეთი.

პროფესორი ა. ნოზაძე. 06.09.89“.

აქ შეატყვეს, რომ ქალაქში ბუმერანგის თვისება შეიძინა და უკან დაუბრუნდა მსროლელს, ამიტომ მთელი მონდომებით ბუთქეს მას „ლიროკოლი“ და ორი ტრაქტორი ციული ნახვრეტით დასამარეს ჩაეწერა ჩაბკერში“ ჩააგდეს!

წლობით უმუშეგარმა ასპირანტმა კვლავ ჩაიცვა რკინის ქალაქები, რკინის ჯოხი აიღო და ჩვილის ზაზს დაადგა. „ნიანგს“ შესჩვილა. ისევ გაამრუდესო შენით გასწორებული სამართალი!

ვიღრე გამრუდებული სამართლის გამო-სასწორებლად თავის ბასრ სამკაპს მოიმარჯვებდა. „ნიანგმა“ ერთხელ კიდევ სცადა დიპლომატიური მოლაპარაკებით მოეგვარებინა საქმე.

ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტის) პატივცემულ რექტორს ტელეფონით ერთობ მოწიწებით შევანსენეთ გასული წლის ზაფხულში ჩვენი ერთობლივი თათბირის გადაწყვეტილება თუ შეთანხმება, რომ ო. გოგილაშვილს თავის კანონიერ უფლებებში აღადგენდნენ. მართალია, ბატონი რექტორი იმ სამსაათიან თათბირს არ დასწრებია, მაგრამ იმ დღით ინსტიტუტში ბრძანდებოდა და არ შეიძლება საქმის კურსში არ ყოფილიყო!

ჩვენი კარაული გამართლდა, მას ყოველი წვრილმანი ახსოვდა, მაგრამ გამოდმა შემოგვედავა, თქვენგან პროტექციონიზმის სუნი ტელეფონის ურჩილობით მცემს და მოდით ამით ლაპარაკი დავამთავროთ!

ჰოდა, ჩვენც დავამთავრეთ ლაპარაკი და წერილობით ვამჯობინეთ ჩვენი პროტექციონიზმისა და ინსტიტუტის ბიუროკრატიული ტირის საქვეყნოდ სამსჯავროზე გამორტანა!

**შანი სინარულიძე
ელგუჯა მირაგიშვილი**

ნ.ს. ბ. ზუგაშვილი



უსიტყვოდ

ფასებითა და ქორვაჭრული შანსებით საცხე ბაზარს ორივე მხრიდან ღია ჰქონდა კარი და ხარისხზე გაყიდულ ფეშხობებთან უშინანად ირჯებოდა ქონდაქარი, გარს ეხვია სულ მუცელმერთა ამქარი, ვის კუბაჩა უნდოდა, ვის სუკი, ვის ჭიგარი, სხვებიც ტრიალებდნენ იქვე ქონდაქარი ანუ ყასაბნი, ხან ორნი, ხან სამნი, იქნევდნენ ნაჯახებს, ჩეხავდნენ ფეშხობებს, არჩეულ ნაჭრებს ანაწილებდნენ უფროსებზე, მოყვრებზე, მძახლებზე, დანარჩენს კი პანტაპუნტით ჰყრიდნენ დასლებზე!..

და იდგნენ დასლებთან თეთრხალათიანი გლეხები, ეგებებოდნენ რიგით მუშტარს ხან იდმით, ხან კუშტად, ხან პირგამეხებით!.. და ედგათ ხორცსა და ხორცს შუა სასწორნი ისრის მტყორცნელნი მყიდველთა გულუბისაყენ და ჰქონდათ მუქი გაშვერილი მათი ფულებისაყენ!..

დასლებზე დასაბამიდან იმად დამდგარა სასწორი, რათა მის ორივე მხარეს მდგარი მყიდველი და გამყიდველი ღმერთის წინაშე იყვნენ თანასწორნი, მაგრამ ისარი ბევრი სასწორას მხოლოდ მყიდველის გულს განეწონვის და ხვდება მას ხან შვიდიანში (ძროხის ხორცი), ხან რვათაში (ხბოს ხორცი), ხანაც თხუთმეტაში (სუკი).

ერთი ჯიბეგახვრეტილი კაცი ვარ, მაგრამ წვინანის დახვერვა მეც მიყვარს, მაგიდაზე შემოდგმული ხარჩო სურვილით მადრჩობს და, აბა, მწვადი რაღა იქნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბაზარში რომ შევალ, სუკს ისრის მისაწიერზე არ ვეკარებო, არც ხბოს და არც ბატქნის ხორცს, ამიტომაც, რომ სულ შვიდიანში მირტყამენ ხან ხორცი, ხან ხრტილით, ხან ძვლითა და ხან ფაშვით (ხაშიც არ გეგონოთ ფეშქაში!).

ანარჩევა ნაჭრებს, დასლებს რომ ყრია, საეჭვოდ ვყნოსავთ მე და ბადრია, ის მტყუვის, სიკოთ, აბა, რა გიყოო, გვირჩევნია ვიყიდოთ კარტოფილით, რადგან არც მე მაქ და არც შენა საამისო კბილიო! მაგრამ მე მაინც ვცდილობ, კარგი ნაჭერი ავაჩიო, რადგან არ შემიძლია კუჭი ხორცის ჭამას გადავაჩვიო!..

მერე მიმაქვს სახლში და, რა გავული გახვეულს ათ ფენა სქელ ქალღღმში, რათა მისი ნახვით დამშეულ კუჭს ვუპოვო ფონი, იქ აუცილებლად მხვდება დანაწონი — ან ძვალი, ან ხრტილი, ან ლალარწი ქონი!..

მე თვითონ ქონისა ბლომად მქონი, ლამის ერთიორად გავიქონო, რამეთუ ხორცის ყოველი ყიდვისას მომდევს და მომდევს ქონი!..

როცა ვაწონინებ, თვლებს ვაფაციცებ, მაინც მომდევს ქონი ფარშევანგის სიგრძე!..

გაცუტურაკებულმა მაჯა გავისინჯე, გული დავიმშვიდე და მერე სხვაგვარ ვსინჯე, ხათრი მქონდა ერთი ჭუჭა ქონდაქარის, ხორცის

ასარჩევად მისკენ გაევაბიჯე. ამირჩია მშვიდად ორ კილომდე ხორცი, არსად ჩიჩქნა ქონი, ფერი ჰქონდა მოცვის, ხოლო შინ რომ მიველ, ვნახე მონაგარი, სურათი დამიღდა თვალწინ სულ სხვაგვარი: თავის რჯულს კი არა, მე მიგანა ჭუჭამ, ქონი შემაპარა ბარე ორი ბლუჭა!..

საით არ წავედი, ავლაბარს თუ ნავთლულს, ვილას არ შეეჩვილე, ნათლიას თუ ნათლულს, ვერვინ მიშველა და ვერვინ მანუგეშა, ქონს კვლავ მაპარებენ აბრად, სასწვრის თეფშადა!..

დანამატად მიმაქვს შინ ქონი, ხრტილი, ძვალი, დამცინიან ერთად ცოლი, ორი რძალი, გინდა მჭილი ირტყი, გინდა იღრიალე, გინდა დაარისხე ბუკი იერქონის, ათფენა ქალღღმში ჩაქარგულ ჩიჩიას ბრტყულ ნაჭრებდა ადევს სულ ლალარწი ქონი!.. სათვალე ვიყიდე უფრო დიდი ზომის, ქონის მტყორცნელებთან წამოვიწყე ომი, ცოლიც თან წამომყვა, ზავის მოსურნეა, დახლის გასწვრივ მშვიდად აფრიალებს მანდილს. ევესა წვის დაცდეთ ხორცი ავიფონე, შინ რომ მივიტანე, შესალოცი გავხდი!.. ქონის დანახვაზე სახე მომექონა, მერე კლიმაქსურად დავვებს გამკრა აღმა და რომ არ ვიცოდი, როგორ რა მეღონა, უკვე წყალწაღებულნი უტბად მიხსნა რძალმა:

— ჩვენი მეზობელი კოთპერატორი, მგლისმადიანი და ჯიბეაუფსები, ჰკვიანი კაცია, აქვე გაუხსნია ბაზრისმცოდნეთა მოსამზადებელი კურსები.

დაუფერე ლაშა პატარძალს და კურსებზე ვაველ ზუსტად კვირძალს.

კოთპერატორმა აგვისნა, რომ ვებრძვიო მაფიას და თავი მოგვიყარა ასამდე დოყლაპიას, სწრაფად გაგვატარა თეორიული ნაწილი და მერე პრაქტიკულად ფეხით გვაზომინა ბაზრებამდე მანძილი, მერე გაგვატ-

ნო, თუ ბაზარში ვინ ვის როგორ უხზავდა და საიღუმლოდ გაგვანდო შეწერის მახანდა. გაგვარკვია, თუ რა ღირს კომბოსტოს, სახამთროს ჩასატვირთი, ან ქათმების შესამწყვდევი გალია და სასწავლო პროგრამაც ამით გალია, ბოლოსთვის შემოიტრია სასწორი, აგვისნა, გამყიდველები რამდენს იხდიან ქირას, სულ ერთია, შაბათია თუ კვირა, მერე განგვიმარტა, თუ ვინ რისი რა ილეთით არის ამწონი, პრაქტიკულად წაგვიყვანა ბაზარზე და, რომ არაფერზე ვიყავით აზრზე, გვაჩვენა თაღლითების სსვადასხვა მასტები, დავანახვა, როგორ მიჰქონდათ კოთპერატორიდან ლალარწი ქონით საცხე ტაშტები!..

— ახლა შეხედეთ აგერ იმ რეგვენს, ნახეთ, ხორცთან ერთად ძვალსა და ლალარწი ქონს როგორ შეაპარებენ! — გვითხრა კოთპერატორმა ხმადაბლა, ვითა შეთქმულმან და მე უმალ რეჩი მიყო გულმა, რამეთუ იქვე გვირდით შევინაშე, ყასაბ-ქონდაქარი როგორ გეშავდა ვიღაც გლეხუჭს, აქამდე რომ მეგონა, თითქოს მას თვალები ეხუჭა!.. ვიხილე, როგორ ასწავლიდა, თუ ვით გავქონს მან ქალღღმში სქელი და როგორ ჩაიღოს შუა სიბრტყეზე ქონი და მერე თანდათან ისე გაღორდეს, რომ მუშტრის ბედზე სულ არ დალონდეს, თუნდაც ის წონაში მოტყუებული და ქონშეპარებული გაისტუმროს!..

კარგად დავაკვირდი, თუ როგორ ირჯებოდნენ ოსტატი და შევირდი, როგორ ჩაიღო ქალღღმის ნაკეცში მარჯვე ყასაბმა და როგორ მოახერხა მუშტრის თვალის აბმა, მერე იგივე გაიმეორა პრაქტიკანტმა გლეხუჭამ და მე უკვე აღარ მეგონა, რომ მას თვალები ეხუჭა!..


„აი, თურმე რისთვის რქმეგვია ძველქართულით ყასაბს ქონდაქარი, ქონით მიჰქარავს ისიც და მისი ამქარიც!“ — უტბათ ფიქრი. ასე გაეწაღე და თვალთ დავემშვიდობე სუკის სამწვადეს!

უკვე ვგრძნობდი, რომ ვიყავი ბაზრისმცოდნეთა კურსდამთავრებული, ახალი თვალით ვუყურებდი ქვეყანას და მეჩვენებოდა იგი ხელმოთავებული!

ბაზარში კი ყოველი მხრიდან ქროდა ქარი, სამწვადეებს თავისიანებისაყენ ტყორცნიდა ქონდაქარი, ხარისხზე გაყიდულ ფეშხობებთან ჯგროდ იღვა მისი ამქარი, ვის ეჭირა ჩალაღაჯი, ვის სუკი, ვის ჭიგარი, ხოლო დასლებზე რჩებოდა ნეკნი, კანჭი, ტვლივი, არტალა, მას ეხვია დიდი თუ პატარა!..

იქვე ტაშტებით ეწყო ქონი, ტანს მიჰქინკრავდა მისი ხილვა შიგნით-გარეთ გაქონილს!





ლურჯი ზმანებით დავაქროლებ გზაზე „მერსედესს“,
ალარ მალეღვებს, რა გარდაქმნეს და ვინ გარდაქმნეს!
ქეიფის კვალზე ინსპექტორი თუ გამომიჭერს,
გულს გავიხარებ, შევთავაზებ ფერად „ქალაღდებს“!
ფული ბლომად მაქვს, განა ფული „ხელის ჭუჭყია“?
ბევრი უფსკრულშიც კი ჩამყვება ფულის გულისთვის,
უფულობა და ჯამაგირზე ჯდომა ფუჭია..
ზოგნი „მკურნალად“ გადაიქცნენ მხოლოდ ფულისთვის!
ხალხს მოვისყიდი, უმალღვსის შევადებ კარებს!
რა ვქნა, შემინდეთ, ერთადერთ შვილს ვერ გავანამებ!
გარდაქმნის მორიგ გაკვეთილებ დავიგვიანებ
და ჩემი ცოლიც ზარმაცობას ველარ დამნამებს!

ცინიანა მორიხია
(გალის რაიონი, სოფელი შეშელეთი)

ნახ. მ. აბაშიძისა



რა დასამალია და, ჩვენი ქართველი ქალებიც ენევიან
სიგარეტს, უფრო მეტად კი გოგონები აბოლებენ. თუკი დასაჯ
ლეთში ენევიან, ესენი რა, მათზე ნაკლები არიან? რაშიც ჩამო
ვრჩებით, ის გვეყოფა და ამაში მაინც დავენიოთო!

ისე ამას ერთი დადებითიც აქვს! ქმარი, თუ ენევა და სიგა-
რეტი მოულოდნელად გაუთავდა, დაუძახებს მეუღლეს და სიგა-
რეტს მოსთხოვს. ისიც თავისი სურნელოვანი ხელჩანთიდან ამო-
იღებს მეუღლისთვის კიდევ უფრო საამო „კოსმოს“ ან „კოლ-
ხეთს“ ან, თუ ეს არ ექნება, ბოლოს და ბოლოს „მტკვარს“.

„ნელად მოღელავს მოდედუნე მტკვარი ანკარა“. რაც შეეხება
სიგარეტს, ძნელად იბჭუტვის მოშიშინე „მტკვარი“ ანკარა, უფრო
სწორად კი გველგესლა, თორემ „ანკარა“ უშხამო გვევლია. თუმ-
ცა რა მოხდა, სხვა სიგარეტის უქონლობისას შეიძლება ადამიან-
მა ესეც მოსწონოს!

ცნობილია სიგარეტის ნევის მანენ ზემოქმედება ორგანიზმზე,
შთამომავლობაზე და ა. შ. ამავე დროს იგი სხვა რამითაც საზი-
ანოა. მაგალითად, მისი ნაშენავეებით არა მარტო ნაგვიანდება გა-
რემო, არამედ დიდად საშიშია ხანძრის გაჩენისთვისაც.

განსაკუთრებით ამ მხრივ გოგონები ქმნიან უფრო მეტ სა-
შიშროებას: მალულად მონევისას ნაშენავეებს მოუფიქრებლად
ისვრიან, რაც ხანძარსაშიშია! ამის თავიდან აცილების მიზნით
ამჟამად მუშავდება და სულ მალე დაიწყება სერიული წარმოება
ქალებისათვის ნატიფი და კომპანია ჩიბუხებისა.

მალე მანდილოსნებიც ფეხს ფეხზე გადაიდებენ და სიამოვნე-
ბით გააბოლებენ ჩიბუხებს. ამით არც გარემო დანაგვიანდება და
საფრთხეც თავიდან იქნება აცილებული. ერთ ადამიანს ჩიბუხის
ტარით უღვაშის გასწორება უყვარდა თურმე. ქალები ამაშიც არ
ინებებენ ჩამორჩენას, ახლა ბევრი მათგანი ზედა ტურზე ამოსულ
ბუსუსებს რომ იცლის ან ქიმიური საშუალებებით აუფერულებს,
ხელუსებლად დაიტოვებს და ისწორონ მერე, რამდენიც უნდათ,
მოოქრული თუ მოვერცხლილი ჩიბუხის ტარით!

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მალაჩიების ვიტრინებს
სულ მალე დაამშვენებს კოოპერატივი „ყველაფერი ნაზი არსებე-
ბისათვის“ მიერ გამოშვებული ქალთა მოხდენილი ჩიბუხები!
იგივე კოოპერატივი მამაკაცებს გირჩევთ: სუსტი არსებებისათვის
ყვავილებთან ერთად იუიღოთ ჩიბუხები! ქალთა ჩიბუხები საუკე-
თესო საჩუქარია!

გელა ადემიშვილი

თვალსაზრისი

იმის გამო, რომ მ აპრილს ქართველ ქალებსა და
გოგონებს ორღესული ბარებით იცავდნენ საბჭოთა ჯა-
რისკაცები, ტრაგედიის ადგილზე დაიდგას ბარმომარჯვე-
ბული საბჭოთა ჯარისკაცის ქანდაკება!

— : — : —

„ბრა კაც ჰკლა!“ — ამ პრინციპით დახოცეს მ
აპრილს ქალები!

მოხავის ქალო თინაო!..

- მოხვეის ქალო თინაო,
დარღით აღარა მძინავო:
ქუჩის ქალები დათხოვდნენ,
შენ რაღამ დაგარჩინაო?
- რაი ვქნა, მითხარ, ვაჟო,
არ მაქ მანქანა, ბინაო,
უმზითვოდ, უბრილიანტოდ
არგენ წამიყვანს შინაო!
- ვაჟე, მეც მაგრე
ვფიქრობდი, —
ჯიში არ შამერცხვინაო, —
ჩემმა სინდისმა, ნამუსმა
უქმაროდ დამარჩინაო!
- რად გინდა, ქალავ, თამბაქო,
რა საჭიროა ბახუსი?
ქალს უნდა ჰკონდეს ქალური
კდება, ქცევა და ნამუსი!
- ვერ მივეძალე თამბაქოს,
ვერც არაყსა და კონიაკს,
ქალი თუ არ სვამს და არ სწევს,
ყველას გოიმი ჰგონია!
- ვინც იძალავა, — გათხოვდა,
ბალღებიც დააჩინაო,
ვინც არა, დარჩა ჩემსავით
გაუთხოვარი, შინაო!

ნიკოლოზ იოსებოძე

იუმორისაჲ

სიყვარული იმდენაირია, რამდენაირი ადამიანისაა ამქვეყნად, მაგრამ მუდმივი სიყვარული არ არსებობს. ამას ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ახალშეუღლებულები ერთმანეთს ეფიცებიან, — უშენოდ სიცოცხლე ერთი წუთითაც არ შემიძლია და შენი გულისთვის თავს მოვიკლავო, მაგრამ გადის დრო და იგივე ქალი ეუბნება იმავე ქმარს, — შენ ჩაგდე მინაში, სულელი ვიყავი, ცოლად რომ გამოგყვიო! ან კიდევ, კაცი ეუბნება საცოლეს, — ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით, მაგრამ ცოტა მოგვიანებით იგივე კაცი იმავე ქალს უტიფრად უცხადებს, — რატომ არ დაიქცა ის დღე, შენ რომ გაგიცანიო!

შეყვარება შეიძლება იმდენჯერ, რამდენჯერაც მოასწრებ და რამდენჯერაც დაგიჯერებენ!

სიყვარული არის ცალმხრივი (როცა ერთს უყვარს და მეორეს — არა), ორმხრივი (როცა ორს ერთი უყვარს, იმ ერთს კი — არც ერთი) და მრავალმხრივი (როცა ერთ კაცს რამდენიმე ქალი უყვარს ერთდროულად).

სიყვარულის დამაჩქარებელია: გავლენიანი დედ-მამა ან ბიძა, შემნახველი სალაროს ნიგნაკი, „გაზ-24“, კომფორტული ბინა, აგარაკი, უცხოური ავეჯი და საგზური; ხელშემშლელია: გაურემონტებელი ბინა, სუფთა ხელფასი, დაბალთანამდებობიანი მშობლები, უმანქანოა და უდობლომობა!..

ამბობენ, სიყვარული ბრმააო, სინამდვილეში თვითონ შეყვარებულია ბრმა და თვალებს ცოტა გვიან ახელს.

სიყვარულის გარეგნული ნიშნებია: ხელ-ფეხის კანკალი, გულის ფართხალი, რასაც მოსდევს ენის პარტყალი, თან ერთმანეთში ირევა ტყუილ-მართალი.

ნათქვამია, სიყვარულს მალვა უნდაო, მაგრამ იმდენ ხანს არ უნდა მალო, რომ სულ ვეღარ გამოაჩინო!

სიყვარული ხშირ შემთხვევაში იწყება თავბრუდახვევით და მთავრდება თავყების ახვევით!..

ვანო ცინცაძე

— ისევ იმ უნამუსო კახასთან გაატარე ღამე?
— არა, ქალო, ბენჯინის რიგში.



ნახ. 3. კუცინასი



ნახ. 8. აბაშიძისა




წერილი ქმარს კურორტიდან

მივიღე შენი ბარათი, წერისთვის დროს მეც ვიმეტებ და ვგზავნი გულის კარნახით მოუნატრებელ პრივეტებს! ჩემზე არ მოჰყვე ოხვრანი, დარდებში ნუ გაებმები, აქ არ მაკლია თოხლაგი და არც თაყვანისმცემლები! სათოფურზეც არ ვიკარებ უფულოებს და ჭიანებს, აქ რა გამოლევს კავალრებს (ვიცი, არ იეჭვიანებ!). ვსვამ სიტკობების ფიალას, ვაბუჩე, გლეჯვამდე ვერთობი, შემოვლილი მაქვს მთლიანად ყველა ტყე, პარკი, ფერდობი... მანდ, თუ არ ვცდები, ამინდი არის მზიანი, უღრუბლო! უჩემოდ ხომ არ მოგწყინდა, რაიმეს ხომ არ ცუდლუტობ? აეთრეულია მანდ ბლომად

(შენც კი ნახავდი უთუოდ!), დარეცხე, სანამ ჩამოვალ, და შემდეგ დააუთოვე! არ შეპყვე კაფეს, კაბარეს (გულს დამიკოდავ სასტიკად!), დრო კი გაქვს ბევრი და ბარემ პოლზე მოუსვი მასტიკა! ფულს ნუ დახარჯავ ადვილად, შეეშვი ტარანს, მოივას, დღეში ოცდაათ კაპიკად სამი პონჩიკი მოგივა! რომ არ მოგედოს ტანს ობი (კი ნუ გაიჩენ იარებს!), მიდი და საღამოობით კრა-კერვის წრეზეც იარე! ჩაო!.. ისედაც ბევრს მოვცდი, კიდევ მოვიწერ ხვალ ან ზეგ! აბა, ბამბინო!.. ბევრს გკოცნი აქედან შენი ხვარამზე!

უსიტყვოდ

ვანანა ფირანიშვილი



შოთა ინწკირველს — ცნობილ მოჭადრაკეს, საქართველოს დამსახურებულ მწერტნელს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, ყურნა-ლისტსა და ნიანგელს 60 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ ღვაწლ-მოსილ იუბილარს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და წარმატებებს!

ძველი ნეტარი დრო!

1947 წლის ოქტომბერია. ერთი თვე იქნება, რაც თბილისში ჩამოვედი. ამ ხანში ორ შეჯიბრებაში მივიღე მონაწილეობა. ჯერ ქალაქ ოზურგეთის სახელით „სპარტაკის“ საქართველოს პირველობაზე ვითამაშე, ხოლო შემდეგ, როგორც „სპარტაკის“ გუნდის წევრმა, — თბილისის გუნდურ პირველობაზე, სადაც პირველ-თანრიგოსნებთან (მათ შორის მაშინ უკვე რესპუბლიკის ერთ-ერთ ძლიერ მოჭადრაკე ალექსანდრე ბუსლავეთან) გამართული შეიდე შეხვედრიდან შეიდე ქულა მოვაგროვე, რითაც არათუ პირველი თანრიგო, ოსტატობის კანდიდატობის ბალის ნორმასაც გადავა-ჭარბე. წინათ ჩვენთან საკანდიდატო ბალის ნორმის შესრულება ასეთ ასაკში კი არა (24 ნომბერს მისრულდებოდა 18 წელი), ისე-დაც დიდი იშვიათობა იყო. ალბათ ამის გამო შემომთავაზეს ერთ-დროული თამაშის სეანსის ჩატარება ერთ-ერთ ორგანიზაციაში. როგორც გამოირკვა, ეს ყოფილა საკონკურსო სეანსი ჩემსა და ცნობილ თბილისელ მოჭადრაკე ვართან ალამალიანს შორის.

სეანსის დაწყების წინ ინსტრუქტორმა დიდი რიხით წარგვა-დგინა მონაწილეებისა და მაყურებლების წინაშე! ამხანაგებო! (ინსტრუქტორი რუსულად ლაპარაკობდა) საკონკურსო სეანსის ჩასატარებლად მოვიწვიეთ ამიერკავკასიის უძლიერესი სეანსორი, თბილისის 1925 წლის „25 წლის“ წარმოქმნისას ხმას დაუნია) ჩემპიონი ვართან მიხეილის ძე ალამალიანი და ლენინგრადელი ოსტატი ინცირველოვი, რომელიც გავალით იმყოფება თბილისში. («Ленинградский мастер Инцирвелов, проездом из Ленинграда»).

ამ დროს ერთ-ერთმა მაყურებელმა წამოიძახა: „ქართველს რომ ჰგავს?!“ მარჯვე ინსტრუქტორმა პასუხი არ დააყოვნა: „დაიხ, იგი დედიტ ქართველია!“

დაიწყო სეანსი. მე ერთი პარტია წავაგე, დანარჩენები მოვიგე. გამოცდილი ალამალიანი კი პარტიას პარტიაზე იგებდა. როდესაც ინსტრუქტორმა დაინახა, რომ „ლენინგრადელი ოსტატის“ პრეს-ტიჟს საფრთხე ემუქრებოდა, უკანასკნელ პარტიაში ალამალიანის მეფე წააქცია და გამოაცხადა: ალამალიანი ცაიტნოტში მოხვდა, დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალაო!

ჩემთვის ეს უპიზოდი სასიამოვნო მოგონებად დარჩა. ჯერ ერთი, ის მაგონებს ახალგაზრდობის წლებს — ძველ ნეტარ დროს, და, მეორეც — ომისა და ომის შემდგომი წლების პრო-ვინციელი, როგორც ჩანს, დიდი ქალაქის ინტელიგენტად წარმო-ჩენის საბაბს ვიძლეოდი (თუნდაც გარეგნულად).

შოთა ინწკირველი

რედაქციისაბან: თუ გავითვალისწინებთ, რომ შოთა ინწკირ-ველს მოსწავლეთა შორის საქართველოს პირველობაზე (ტარდება 1948 წლიდან) თამაშის გამოცდილებაც კი არ ჰქონდა, მაშინ თბილისელ პირველთანრიგოსნებთან აბსოლუტური შედეგი არც მეტი, არც ნაკლები — ბრწყინვალეა!

წინათ პირველთანრიგოსნები თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატების ძირითად ბირთვის — ორ მესამედს შეადგენდნენ იმ ჩემპიონატებისას, რომლებიც ჭეშმარიტად უძლიერესთა ფორ-რუმი იყო.

ჩვენს/საქართველო/



მოჭადრაბამ ვაეი მოჭად-
რაკე ქალს ეთამაშებოდა და მის
ფიგურას პირდაპირ თვალეზიფი
ჭამდა!..

მხედარი ჩიოდა: კაკო-ყა-
ჩალი ფიგურებს ვერ ცნობს —
ველზე რომ მიხილა, შემკივლა:
„მითხარ, ვინა ხარ შენა?!“

ისტორიული თხზულები-
დან: რიჩარდ მეხამეს ძალიან
უყვარდა ჭადრაკი; ამ სიყვარუ-
ლმა წამოაძახებინა — „ცხენი,
ცხენი! ჩემს სამეფოს ერთ ცხე-
წში ვაძლევ!“

კუ ჩიოდა: რამდენი ფეხი
გამოყავი, იმდენი მომამახეს —
შენც ნახირ-ნახირო!..

მოჭადრაბის თხზულები-
დან: მუხრან მაჭავარიანის შე-
მოქმედებაში საქადრაკო მოტი-
ვებსაც ვხვდებით: „გორის ცი-
ხის ახლოს მდგარი, ჭადრაკს
ეტყვის ჭადრაკი...“

მტლი ჩიოდა: ისეთნაი-
რად მომნათლეს, თითქოს ცხე-
ნების ჭკუაზე დავდიოდეო!..


ბაბიძი ჩიოდა: გამბიბში
მხვერპლად მე მწირავენ, სახე-
ლად კი შეფისა ჰქვიაო!..

ლაზიარნი ჩიოდა: დედო-
ფალი ქალი ვარ და ყველაზე
მეტი ჭაფა კი მადგასო!..

მეფე ჩიოდა: ჩემი ხინი-
ლა ისე გაწყვიტეს, ლამის მარ-
ტო ჭადრაკსლა შემოვრჩეო!..

თამაზ ეპანოიძე

ნახ. ბ. ბოტბანი (ქ. სამტრედი)



უხიტყვოდ

საბჭოთა საბჭოთა საბჭოთა
საბჭოთა საბჭოთა საბჭოთა

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლგოზაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ აღიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ქაბუა ამირეჯიბი, ნომადი
ბარათია, რევაზ თვარაძე,
ჭემალ ლოლუა (მხატვარ-
რედაქტორი), ნოდარ მაღა-
ზონია, ალექსანდრე ხაშო-
ნია, ბეჟან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიგწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი ღუნღუა

გადაეცა ასაწყობად
19. 01. 90 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 21. 02.
90 წ. ქალაქის ზომა
60x90¹/₈, ფიზიკური წაბე-
ჭდი ფურცელი 1,5. სად-
რიცხვო-სამომცემლო თა-
ბები 1,9. საქართველოს კ-
ცეის გამოცემა ზომა
ლენინის 14. შეკვ. № 112.
უფრო 07024 ტირაჟი 125.000
ქურნალი გამომდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 860008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან-მე მანქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
стваели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ანდექი 76187



უსიტყვოდ

КОНТРОЛЬНЫЙ
ЭКЗЕМПЛЯРЪ